პროგრამის სახელწოდება

ხელოვნების მენეჯმენტი ARTS MANAGEMENT

განათლების საფეხური

მაგისტრატურა MASTER

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი Master of Arts Management

პროგრამის მოცულობა ECTS

120

სწავლების ენა

ქართული

სწავლის ღირებულება

2250 ლარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები).
- პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნები:

საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ქულის მიღება;

ხელოვნების უნივერსიტეტში სპეციალობის და ინგლისური ენის (B2) გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღება, ან მობილობის/შიდა მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულნი არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში B2 დონე);

ინგლისურ ენაში B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით.

შიდასაუნივერსტეტო გამოცდების საკითხები (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში B2 დონე) და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე ოთხი თვით ადრე.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- რეგიონსა და ქვეყანაში ხელოვნების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე მმართველობითი სფეროსათვის მაღალკვალიფიციური მენეჯერების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მართვის თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში ღრმა და სისტემური ცოდნა;
- დაწესებულების/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის და გუნდური მუშაობის უნარები, მართვის პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, ეროვნული და საერთაშორისო დარგობრივი პროექტების, გამოფენების, პროგრამების, ღონისძიებების მომზადების, პრაქტიკული თუ მეცნიერული კვლევისა და არსებული გამოწვევების ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევები.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ვერბალური მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფში მუშაობა; პრაქტიკული მუშაობა; შემთხვევის შესწავლა; პროექტზე დაფუძნებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; კონსულტაციები; დისკუსია/დებატები; პრეზენტაცია და სხვა მეთოდები, რომლებიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსებში, მათი შინაარსისა და სწავლების ფორმიდან გამომდინარე.

სწავლის შედეგი

- ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას, როგორც ზოგადად მენეჯმენტის, ასევე ხელოვნების დაწესებულებათა მართვის თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში, მეცნიერული კვლევის თანამედროვე კონცეფციებში, ორგანიზაციების, სტრატეგიების, ოპერაციების, ბაზრების, მარკეტინგის და გაყიდვების, ფინანსების, ადამიანური რესურსების და ორგანიზაციული ქცევის სფეროებში, ეროვნული და საერთაშორისო დარგობრივი პროექტების თაობაზე;
- აანალიზებს მართვის თანამედროვე კონცეფციებს, ტენდენციებს, გამოწვევებს, იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, განიხილავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას;
- ატარებს კვლევებს, ახდენს ანალიზს, შეფასებას და შეიმუშავებს წინადადებებს ხელოვნების დაწესებულების სტრატეგიული განვითარების შესახებ, ამზადებს გამოფენების, პროგრამების და ღონისძიებების პროექტებს;
- ახდენს დაწესებულების შიგნით და მის გარეთ არსებული გამოწვევების დროულად ამოცნობას, გააზრებას, შესაბამისი ცვლილებების შემოქმედებითი მიდგომით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განხილვას და და დაგეგმვას;
- აფასებს ხელოვნების დაწესებულების მდგრადი განვითარებისთვის ფინასური რესურსების სტაბილურობის მნიშვნელობას საფრთხეების, დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით;
- დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ასრულებს კვლევით ნაშრომს ან პროექტს და დამაჯერებლად წარადგენს დაინტერესებულ მხარეებთან;

- სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით ამზადებს წინადადებებს მისაღები გადაწყვეტილებების თაობაზე;
- გაიაზრებს პასუხისმგებლობას საკუთარი, აგრეთვე, თანაგუნდელების პროფესიული განვითარების საჭიროებაზე.

პროგრამის სტრუქტურა

ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს.
აქედან:
- სასწავლო კომპონენტი - 90 ECTS მოცულობით.

მათ შორის:
ა) სავალდებულო სასწავლო კურსები - 63 ECTS მოცულობით;
ბ) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 ECTS მოცულობით;
გ) თავისუფალი არჩევითი კურსები - 5 ECTS მოცულობით;
დ) პროფესიული პრაქტიკა - 12 ECTS მოცულობით;
- კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი - 30 ECTS მოცულობით.

დასაქმების სფერო

ხელოვნების მენეჯერს შეეძლება იმ სამუშაო ადგილებისა და თანამდებობების დაკავება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და საუწყებო დოკუმენტებით უმაღლესი სამაგისტრო დონის აკადემიური განათლების მქონე სპეციალისტისათვის.

შეფასების სისტემა

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა 40% (0-40 ქულა).
სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.
დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).
სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:
დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:
ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;
ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.
● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.

სწავლის გაგრძელება

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა		
აკადემიური პერსონალი		
სახელი, გვარი	***სტატუსი***	***სასწავლო კურსი***
ერმილე მესხია	პროფესორი	სამუზეუმო გამოფენებისა და პროგრამების მართვა; პროექტის მენეჯმენტი ხელოვნების სფეროში; კულტურის პოლიტიკა და მართვა
სოფიო თავაძე	ასოცირებული პროფესორი	ხელოვნების ორგანიზაციების მენეჯმენტი; ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა ხელოვნების სფეროში; კინოხელოვნების მართვის ასპექტები; სპონსორობა და ფანდრაიზინგი ხელოვნების სფეროში
ჰამლეტ სანიკიძე	ასოცირებული პროფესორი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები; სტრატეგიული მენეჯმენტი; ოპერაციული მენეჯმენტი; საკორპორაციო სამართალი/ბიზნეს სამართალი; დროის ეფექტური მართვა; რისკების მართვის თანამედროვე გამოწვევები
ნინო მამულაძე	ასოცირებული პროფესორი	მარკეტინგი და რეკლამა ხელოვნებაში; მარკეტინგული კომუნიკაციები
რატი ჩიბუდანიძე	პროფესორი	კულტურული მემკვიდრეობის მართვა
თეიმურაზ კეჟერაძე	პროფესორი	თეატრის შემოქმედებითი პროცესების მართვა
ნათია კვაჭაძე	ასისტენტ-პროფესორი	კულტურის რესურსების მენეჯმენტი
მოწვეული პერსონალი		
ქეთევან გოლეთიანი	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; ლიდერობა

ნათია მიქელთაძე	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები
არმაზ ბახტაძე	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	ინოვაციების მენეჯმენტი; საერთაშორისო მენეჯმენტი
ბესიკ ბერიძე	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში
გენად შავაძე	სპეციალისტი (I კატ.) დოქტორანტი	მენეჯერული აღრიცხვა და კონტროლი; ფინანსური მენეჯმენტი
ნინო დოლიძე	სპეციალისტი (I კატ.) დოქტორანტი	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი

პროგრამის ხელმძღვანელი

ერმილე მესხია - პროფესორი, მობ: 593 32 57 96; e-mail: mesxiaermile@gmail.com
სოფიო თავაძე - ასოცირებული პროფესორი, მობ: 593 633087; e-mail: sofotavadze@hotmail.com

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ბხსუ უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასწავლო სახელოსნოებით. ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი/მოდული	კრედიტი	საათები			კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				სულ	საკონტაქტო	დამოუკიდ.	I	II	III	IV
		სავალდებულო კურსები	*105*	*2625*	*516*	*2109*	*31*	*30*	*29*	*30*
10-10C4		მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები	3	75	24	51	3			
10-10C9		ხელოვნების ორგანიზაციების მენეჯმენტი	5	125	30	95	5			
10-10C11		ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	3	75	24	51	3			
10-10C18		აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	5	125	30	95	5			
10-10C3		ინოვაციების მენეჯმენტი	5	125	30	95	5			

10-10C13		მარკეტინგი და რეკლამა ხელოვნებაში	3	75	24	51		3		
10-10C6		ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	4	100	26	74		4		
10-10C1		მენეჯერული აღრიცხვა და კონტროლი	3	75	24	51		3		
10-10C5	10-10C4	ოპერაციული მენეჯმენტი	3	75	24	51		3		
10-10C12	10-10C9	პროექტის მენეჯმენტი ხელოვნების სფეროში	5	125	30	95		5		
10-10C8		სამუზეუმო გამოფენებისა და პროგრამების მართვა	3	75	24	51		3		
10-10C10		ფინანსური მენეჯმენტი	4	100	26	74		4		
10-10C14		ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა ხელოვნების სფეროში	5	125	30	95			5	
10-10C7		საკორპორაციო სამართალი/ბიზნეს სამართალი	3	75	24	51			3	
10-10C2		სტრატეგიული მენეჯმენტი	4	100	26	74			4	
10-10C15		კულტურული მემკვიდრეობის მართვა	5	125	30	95			5	
10-10C16		პრაქტიკა	12	300	50	250			12	
10-10C17		სამაგისტრო ნაშრომი/სამაგისტრო პროექტი	30	750	40	710				30
სპეციალობის არჩევითი კურსები			***10***							
ხელოვნების მენეჯმენტი			***5***				***5***			
10-10b14		კულტურის პოლიტიკა და მართვა	5	125	30	95				
10-10b10		კულტურის რესურსების მენეჯმენტი	5	125	30	95				
10-10b16		სპონსორობა და ფანდრაიზინგი ხელოვნების სფეროში	5	125	30	95				
10-10b17		კინოხელოვნების მართვის ასპექტები	5	125	30	95				
10-10b18		თეატრის შემოქმედებითი პროცესების მართვა	5	125	30	95				
ზოგადი მენეჯმენტი			***5***					***5***		
10-10b8		დროის ეფექტური მართვა	5	125	30	95				
10-10b9		რისკების მართვის თანამედროვე გამოწვევები	5	125	30	95				
10-10b7		საერთაშორისო მენეჯმენტი	5	125	30	95				
10-10b13		მარკეტინგული კომუნიკაციები	5	125	30	95				
10-10b11		ლიდერობა	5	125	30	95				
10-10b3		საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი	5	125	30	95				
თავისუფალი არჩევითი კურსები			***5***				***5***			
სულ			***120***	***3000***	***606***	***2394***	***31***	***30***	***29***	***30***